ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

ევროკავშირის სამართლებრივი აქტი	საქართველოს ნორმატიული აქტის/აქტების პროექტი/პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი/აქტები, არსებობის შემთხვევაში:
2004 წლის 27 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს რეგულაცია 2006/2004 მომხმარებლის დაცვის შესახებ კანონების აღსრულებაზე პასუხისმგებელ ეროვნულ ორგანოებს შორის თანამშრომლობის შეახებ (რეგულაცია მომხმარებლის დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ). დაახლოება უნდა მოხდეს შემდეგ მუხლებთან: 3 (c); 4(3) – (7); 13 (3); 13(4)	1. კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“; 2. საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“; 3. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“. შესაბამისობა: სშ – სრულად შესაბამისი ნშ – ნაწილობრივ შესაბამისი შ – შეუსაბამო ას – არასავალდებულო

1	2	3	4	5	6	7
3	(c) „უფლებამოსილი ორგანო“ ნიშნავს, ეროვნულ, რეგიონულ ან ადგილობრივ დონეზე შექმნილ ნებისმიერ საჯარო დაწესებულებას, რომლის კონკრეტულ პასუხისმგებლობად განისაზღვრება მომხმარებელთა ინტერესების დაცვის შესახებ კანონმდებლობის აღსრულება.	1	31.1	საქართველოს ტერიტორიაზე ამ კანონით განსაზღვრული მომხმარებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, უფლებების დარღვევის პრევენციასა და დარღვეული უფლების აღდგენის ხელშეწყობას, დარღვევის ფაქტების გამოვლენასა და დარღვევებზე კანონით გათვალისწინებულ შესაბამის რეაგირებას ახორციელებს დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კონკურენციის სააგენტო (შემდგომ - სააგენტო) და შესაბამისი სფეროს	სშ	

				უფლებამოსილი მარეგულირებელი.		
4.3	მე-4 პუნქტის შესაბამისად, თითოეული უფლებამოსილი ორგანო, უფლებამოსილია ჩაატაროს გამოძიება და განახორციელოს სააღსრულებო ღონისძიებები, ეროვნულ კანონმდებლობასა და ამ რეგულაციასთან შესაბამისობაში.	1	31.4	საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, სააგენტო: ა) შეისწავლის ამ კანონით განსაზღვრულ მომხმარებლის უფლებების შესაძლო დარღვევის ისეთ ფაქტს, რამაც გამოიწვია ან შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებელთა ჯგუფის უფლებების დარღვევა; ბ) საქმის განხილვის მიზნით განმცხადებლის ან/და მოვაჭრისაგან გამოითხოვს ინფორმაციას (მათ შორის, კონფიდენციალურს), რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის; გ) საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუღებლობის შემთხვევაში, უფლებამოსილია სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა მოვაჭრის მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენის თაობაზე; დ) იწვევს მხარეებს/დაინტერესებულ პირებს ახსნა-განმარტების მისაღებად; ე) საჭიროების შემთხვევაში, მართავს საკონსულტაციო შეხვედრებს სახელმწიფო უწყებების	სშ	

				წარმომადგენლებთან, ექსპერტებთან ან/და სხვა პირებთან; ვ) შეიმუშავებს რეკომენდაციებს საქართველოში მომხმარებლის უფლებების დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე; ზ) საქმის შესწავლის შედეგად, მომხმარებლის უფლებების დარღვევის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, მოვაჭრეს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დარღვეული უფლების აღსადგენად ან/და მოსთხოვს, დადგენილ ვადაში, დარღვევად მიჩნეული ან/და ამ კანონით აკრძალული ქმედების შეწყვეტას; თ) საქმის შესწავლის შედეგად, სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მოვაჭრეს აკისრებს ჯარიმას; ი) ხელშეკრულების სტანდარტული პირობის უსამართლოდ მიჩნევის, შემთხვევაში უფლებამოსილია იმავე ეკონომიკურ სექტორში მოქმედ მოვაჭრეებს ან მათ გაერთიანებებს აუკრძალოს მსგავსი უსამართლო სტანდარტული პირობების გამოყენება ან რეკომენდაციის გაცემა, რომ ასეთი პირობები გამოიყენონ.		

				კ) აუცილებლობის შემთხვევაში, უფლებამოსილია დანიშნოს ექსპერტიზა; ლ) ახორციელებს მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მონიტორინგს; მ) აღრიცხავს და აანალიზებს სტატისტიკურ მონაცემებს მომხმარებლის უფლებების დარღვევის ფაქტების შესახებ; ნ) ახორციელებს ღონისძიებებს მომხმარებლის უფლებების საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად; ო) მომხმარებლის უფლებების დაცვის საკითხებზე თანამშრომლობს სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან;		
4.4	კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ განახორციელონ მე-3 პუნქტში მითითებული უფლებამოსილებები, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად: (ა) პირდაპირ, საკუთარი უფლებამოსილების ან სასმართლო უწყების ზედამხედველობის ფარგლებში; (ბ) სასამართლოს მიმართოს სათანადო ნებართვის გაცემის	1	31.4	გ) საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუღებლობის შემთხვევაში, უფლებამოსილია სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა მოვაჭრის მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენის თაობაზე;	სშ	

	თაობაზე, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, აპელაციით, თუ ხსენებული მიმართვა წარმატებით არ დასრულდება;					
4.5	იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილი ორგანოები თავიანთ უფლებამისილებას სასამართლო ზედამხედველების ქვეშ ახორციელებენ, მე-4 (b) ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.				სშ	
4.6	მე-3 პუნქტში აღნიშნულ უფლებამოსილებათა განხორციელება დაშვებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გონივრული ეჭვი, თანამეგობრობის ფარგლებში არსებული დარღვევის შესახებ და ორგანოს უფლება აქვს: (a) ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი ფორმის შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც თანამეგობრობის ფარგლებში გამოვლენილ დარღვევას უკავშირდება; (b) მოთხოვნის საფუძველზე, მიიღოს ნებისმიერი პირისგან ინფორმაცია, რომელიც თანამეგობრობის ფარგლებში გამოვლენილ დარღვევას	1 1	32.3 31.4	შესწავლის დაწყების საფუძველია გონივრული ვარაუდი იმის შესახებ, რომ ამ კანონის მოთხოვნების დარღვევისას ზიანი ადგება ან შესაძლოა მიადგეს მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესს. ბ) საქმის განხილვის მიზნით განმცხადებლის ან/და მოვაჭრისაგან გამოითხოვს ინფორმაციას (მათ შორის, კონფიდენციალურს), რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის;	სშ	

	უკავშირდება; (c) საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს ადგილზე დათვალიერება;					
4.6	(d) წერილობით მიმართოს თანამეგობრობის შიგნით გამოვლენილ დარღვევასთან დაკავშირებულ გამყიდველს ან მიმწოდებელს ასეთი დარღვევის შეწყვეტის თაობაზე;	1	31.4	ზ) საქმის შესწავლის შედეგად, მომხმარებლის უფლებების დარღვევის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, მოვაჭრეს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დარღვეული უფლების აღსადგენად ან/და მოსთხოვს, დადგენილ ვადაში, დარღვევად მიჩნეული ან/და ამ კანონით აკრძალული ქმედების შეწყვეტას;	სშ	
4.6	(e) თანამეგობრობის ფარგლებში გამოვლენილ დარღვევასთან დაკავშირებულ გამყიდველს ან მიმწოდებელს დააკისროს პასუხისმგებლობა და საჭიროების შემთხვევაში, გამოაქვეყნოს აღნიშული პასუხისმგებლობის შედეგი;	1	31.4	თ) საქმის შესწავლის შედეგად, სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მოვაჭრეს აკისრებს ჯარიმას;	სშ	
4.6	(f) მოითხოვოს ნებისმიერი შიდა საარბიტრაჟო პროცესის და აკრძალვის შეწყვეტა და საჭიროების შემთხევაში გამოაქვეყნოს მიღებული გადაწყვეტილება;				შ	
4.6	(g) მოთხოვნის საფუძველზე წაგებულ მოპასუხე მხარეს	1	30.4	ი) საქმის შესწავლის შედეგად, სააგენტოს მიერ მიღებული	სშ	

	გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში შეუძლია დააკისროს საურავი, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად;			გადაწყვეტილების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მოვაჭრეს აკისრებს ჯარიმას;		
4.7	წევრმა სახელმწიფოებმა, უფლებამოსილი ორგანოები უნდა უზრუნველყონ ყველა სათანადო რესურსით, რაც მათ აღნიშნული რეგულაციის გამოყენების ფარგლებში ესაჭიროებათ. უფლებამოსილი თანამდებობის პირები უნდა აკმაყოფილებდნენ მოთხოვნილ პროფესიულ სტანდარტებს და იცავდნენ შესაბამის შიდა პროცედურებს. კერძოდ, უნდა უზრუნველყოფდნენ კონფიდენციალურობას და პერსონალურ მონაცემთა დაცვას, პროცესის სამართლიანად წარმართვასა და აგრეთვე, მე-13 მუხლით განსაზღვრული პროფესიული საიდუმლოების დებულებების სათანადო ზედამხედველობას.				სშ	
13.3	კომპეტენტურ ორგანოებში დასაქმებული პირებისთვის, სასამართლოებისთვისა და კომისიისთვის გადაცემული ნებისმიერი ისეთი სახის ინფორმაცია, მათ შორის, კომისიისთვის გადაცემული	2	11	ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს გაამჟღავნოს ან არასამსახურებრივი მიზნით გამოიყენოს ადმინისტრაციული წარმოების დროს მიღებული ან შექმნილი საიდუმლო ინფორმაცია.	სშ	

	ინფორმაცია, რომელიც ინახება მე-10 მუხლით განსაზღვრულ კომისიის მონაცემთა ბაზაში და რომელთა გასაჯაროებაც შელახავს: - პირთა პირადი სივრცისა და მონაცემების ხელშეუხებლობის პრინციპს, განსაკუთრებით გაერთიანების კანონმდებლობას პირადი მონაცემების დაცვის კუთხით, - ფიზიკური ან იურიდიული პირის კომერციულ ინტერესებს, ინტელექტუალური საკუთრების ჩათვლით, - სასამართლო პროცესებსა და იურიდიულ კონსულტაციებს, - გამოძიებებისა ან შემოწმებების მიზნებს, არის კონფიდენციალური და პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულების შემადგენელი ნაწილია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მათი გამჟღავნების აუცილებლობა განპირობებული იქნება, თანამეგობრობის ფარგლებში გამოვლენილი დარღვევის შესახებ სამართალწარმოების პროცესიდან გამომდინარე და ის ორგანო, რომელმაც ინფორმაცია გადასცა, მისი გამჟღავნების ნებართვას გასცემს.			პასუხისმგებლობა ასეთი სახის ინფორმაციის გამჟღავნების ან გამოყენებისათვის დგება კანონით განსაზღვრული წესით. ეს არ შეიძლება გახდეს ამ კოდექსის მე-10 მუხლით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმის საფუძველი.		

13.4	რეგულაციის გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საჭირო სამართლებრივი ზომები 95/46 / EC დირექტივის - მე -10, მე -11 და მე -12 მუხლებით განსაზღვრული უფლებებისა და ვალდებულებების შეზღუდვის თაობაზე, რაც აუცილებელია ამ დირექტივის მე -13 (1) (d) და (f) მუხლებში განსაზღვრული ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად. კომისიამ შესაძლებელია ს (EC) 45/2001 რეგულაციის მე-4(1), მე-11, მე-12(1), მე-13, მე-17 და 37-ე მუხლების მიხედვით შეზღუდოს უფლებები და ვალდებულებები, იმ შემთხვევაში, თუ ეს არის შესაბამისი ზომა, იმისთვის, რომ ამავე რეგულაციის მე-20 მუხლის 1-ლი ნაწილის (a) და (e) პუნქტებით გათვალისწინებული ინტერესები იყოს დაცული.	3	24.1	მონაცემთა სუბიექტის ამ კანონის მე-15, 21-ე და 22-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებები საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება შეიზღუდოს, თუ ამ უფლებების რეალიზაციამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას: ა) ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ან თავდაცვის ინტერესებს; ბ) საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს; გ) დანაშაულის გამოვლენას, გამოძიებასა და აღკვეთას; დ) ქვეყნის მნიშვნელოვან ფინანსურ ან ეკონომიკურ (მათ შორის, მონეტარულ, საბიუჯეტო და საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებულ) ინტერესებს; ე) მონაცემთა სუბიექტისა და სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს.	სშ	ევროკავშირის 95/46 დირექტივის 10, 11, 12 და 13.1 (d) მუხლებით რეგულირებული იყო პერსონალური მონაცემების მოპოვებისა და გამოყენების წესები. აღნიშნული დირექტივა გაუქმებულია და ჩანაცვლდა ევროკავშირის 2016/679 რეგულაციით. ხოლო ევროკავშირის 45/2001 რეგულაციის მოცემული მუხლები აწესებდა გამონაკლისებს პერსონალურ მონაცემთა მოპოვებისა და შენახვის წესებში თუკი საქმე სისხლის სამართლის დანაშაულებსა და სახელმწიფოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის საფინანსო და ეკონომიკურ ინტერესებს ეხებოდა. დირექტივა გაუქმებულია და ჩანაცვლებულია 2018/1725 რეგულაციით.